

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესახებ

ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ა) „ ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლისა და „ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ მე-80 მუხლის მოთხოვნების შესრულება;

ბ) საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანება „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების“ შესახებ;

გ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 6 იანვრის N1 დადგენილება „ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017-2020 წლების ბიუჯეტის პროექტით გამოსაყოფ ასიგნებებზე საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ წარსადგენი საბიუჯეტო განაცხადის ფორმების განსაზღვრისა და შევსების წესის დამტკიცების“ შესახებ;

დ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 18 აგვისტოს N2366 ბრძანება „ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით წარსადგენი ინფორმაციის ნუსხისა და წარდგენის ვადების განსაზღვრის“ შესახებ;

პროექტით ხორციელდება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შემოსულობების, აგრეთვე გადასახდელების განსაზღვრა ცალკეული ორგანიზაციებისა და პროგრამების მიხედვით საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად.

პროექტის ფინანსური დასაბუთება:

პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შემოსულობები, რომელიც განისაზღვრება 10 241,6 ათ.ლარით.

1. ბიუჯეტის შემოსულობები:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტით შემოსულობები განსაზღვრულია 10 241,6 ათასი ლარით. 2017 წლის ბიუჯეტის პროექტში სოფლის მხარდამჭერი პროგრამის თანხის მოცულობა ასახული არ არის, ვინაიდან თანხების გამოყოფა ხდება წლის დასაწყისში ფინანსთა სამინისტროს მიერ.

ბიუჯეტის შემოსავლებში გადასახადებიდან გაანგარიშებულია შემოვიდეს 2 150,0 ათასი ლარი, მათ შორის ქონების გადასახადი 1 400,0 ათ.ლარი, საშემოსავლო გადასახადი 750.0 ათ. ლარი.

ადგილობრივი მოსაკრებლები და გადასახდელები გაანგარიშებულია 1 424,7 ათას ლარზე, მათ შორის:

დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებელი 50,0 ათ.ლარი,
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 100,0 ათ.ლარი,
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის 230,0 ათ.ლარი.
ჯარიმები, სანქციები და საურავები 850,0 ათასი ლარი,
მშენებლობის ნებართვისათვის 120,0 ათ.ლარი,
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება 20,0 ათ. ლარი.
არაფინანსური აქტივების კლებაში 850,0 ათასი ლარია გათვალისწინებული,
აქედან:

მიწის გაყიდვიდან – 750,0 ათასი ლარი.

ძირითადი აქტივების კლება - 100,0 ათ. ლარი;

პროექტით გათვალისწინებულია ცენტრალური ბიუჯეტიდან ფინანსური დახმარებების (ტრანსფერი) გამოიყოფა სულ 5 816,9 ათასი ლარი, მათ შორის: გათანაბრებითი ტრანსფერი - 5 642,9 ათასი ლარი და მიზნობრივი დანიშნულების (დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად) – 174,0 ათასი ლარი.

2. ბიუჯეტის გადასახდელები:

ბიუჯეტის გადასახდელები გაანგარიშებულია არსებული შტატების თანამდებობრივი სარგოების, საბიუჯეტო დაწესებულებების შენახვისათვის საჭირო თანხებზე. არსებული რესურსებიდან გამომდინარე ხარჯები გათვლილია სულ 10 241,6 ათასი ლარზე, აქედან:

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების შენახვაზე დაიხარჯება 3 119,2 ათასი ლარი, მათ შორის:

წარმომადგენლობითი ორგანოების შენახვაზე 717,4 ათასი ლარი, კერძოდ: შრომის ანაზღაურების მუხლში 449,7 ათასი ლარი, ხოლო საქონელი და მომსახურების მუხლში - 254,7 ათასი ლარი.

აღმასრულებელი ორგანოების შენახვაზე – 2 166,8 ათასი ლარი, კერძოდ: შრომის ანაზღაურების მუხლში 1 616,0 ათასი ლარი, ხოლო საქონელი და მომსახურების მუხლში - 513,8 ათასი ლარი.

სარეზერვო ფონდი განსაზღვრულია 200,0 ათასი ლარით;

წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა 35,0 ათასი ლარი;

თავდაცვის ღონისძიებებზე – სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის შენახვაზე დაიხარჯება 118,0 ათასი ლარი, ხოლო ურეკის სამაშველო სამსახურის შენახვაზე - 38,0 ათასი ლარი.

პროექტით ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაციასა და ექსპლუატაციაზე 3 251,9 ათასი ლარია მიმართული, მათ შორის:

საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის - 277,5 ათ. ლარი;

კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის - 2 456,4 ათ. ლარი;

საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და ექსპერტიზის მომსახურება - 230,0 ათ. ლარი;

კეთილმოწყობის ღონისძიებები - 198,0 ათ. ლარი;

ა(ა)იპ ფერმერული მეურნეობის განვითარების ცენტრი - 90,0 ათ. ლარი;

საგანმანათლებლო ღონისძიებებზე დაიხარჯება 2 035,5 ათასი ლარი, აქედან: ა(ა)იპ „სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“-ს სუფსიდირებაზე 1 985,5 ათასი ლარი, ხოლო ზოგადი განათლების ხელშეწყობის პროგრამას 50,0 ათასი ლარი მოხმარდება.

კულტურის, რელიგიის, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების პრიორიტეტის ფარგლებში გათვალისწინებულია 1 011,3 ათასი ლარის ხარჯის გაწევა.

სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები 667,7 ათასი ლარით დაფინანსდება, აქედან:

საზოგადოებრივი ჯანდაცვას მოხმარდება 83,2 ათასი ლარი, ხოლო დანარჩენი 584,5 ათასი ლარი სოციალურ დახმარებებზე და ღონისძიებებზე დაიხარჯება.

2. 2016 წლის 9 თვის ბიუჯეტის შესრულების მოკლე მიმოხილვა:

2016 წლის ბიუჯეტის დაგეგმილი შემოსულობები 1 ოქტომბრის მდგომარეობით გარდამავალი ნაშთების გარეშე შეადგენს: 16 824,5 ათას ლარს, ფაქტიურად შემოსულია 12 120,4 ათასი ლარი, ანუ 72,04 %, აქედან

ადგილობრივი შემოსავლების გეგმა შეადგენს 3 651,4 ათას ლარს , შემოსულია 3 494,0 ათასი ლარი, ანუ წლიური გეგმის 95,68%.

არაფინანსური აქტივების კლება გეგმით შეადგენს 440,0 ათას ლარს, ფაქტიურად შემოსულია 995,1 ათასი ლარი, ანუ წლიური გეგმის 226,16 % .

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერებიდან 1 ოქტომბრის მდგომარეობით შემოსულია 8 626,4 ათ. ლარი, ანუ გეგმის 66,44%. წლიური შეადგენს 12 984,1 ათას ლარს.

თანხების ხარჯვა წლის განმავლობაში მიმდინარეობს გეგმაზომიერად და როგორც საერთო მოცულობაში, ისე ცალკეული მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით გადახარჯვებს ან აუთვისებლობის ფაქტებს ადგილი არ ექნება.

საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის უფროსი:

გია მამაკაიშვილი